# სახალხო გაზეთი

№ 258 პარასკევი, 18 მარტი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 258

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან სამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## „სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.



### სახაზინო თეატრი

შაბათს, 19 მარტს, დანიშნულია საუბარი ამ თემაზე:

## სიყვარული

ახალ მწერლობაში

1) მ. ნ. ანდრეევი: სიყვარული ტურგენევისა და რუსეთის თანამედროვე მწერლების თხზულებაში, (არციბაშევი, გიპპიუსი და სხვ.). 2) მ. ა. მუხარინსკისა: სიყვარული ჩ ზოგის თხზ ულ. 3) დ. ქ. გეპშტეინ: სიყვარული-სტიქია (კნუტ ჰამსუნი, ს. პშიბიშევსკი). 4) ქ. ა. კოზლოვი: სიყვარული და იჭვიანობა ტოლსტოის თხზ. 5) მ. დ. ფრენკელი: სიყვარული და პორნოგრაფია. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყ. სა. 8 ს. ფასები 25 კ.—3 მანეთამდე. ბილეთები კასაში იყიდება დილ. 10—2 საათამდე და საღამოს 6—10 საათამდე. (2—515—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 20 მარტს, 1911 წელს.

მსახიობი ვ. მატარაძე ქართულ დრამატიულ დასის არტისტების დახმარებით გამართავს წარმოდგენას წარმოდგენილი იქნება

პირველად განახლების შემდეგ ისტორიული პიესა

## მტარვალი

დრამა 5 მოქმედებად და 6 სურათად ი. ი. ლაზარაშვილისა.

1-ლი მოქმედება — დაფარული გოროტება
2-რე მოქმედება — დამოუკიდებლობა და საომრად წასვლა
3-მე მოქმედება — ახალციხის ომი
4 მე მოქმედება — სიკვდილი მტარვალისა
5-ე მოქმედება — სასჩობელა
6—სურათი — ბრძოლის ველზე დახოცილნი

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ლეჟავა, ჯავახიშვილი, ნებიერიძე; ბ-ნნი: გუნია, გედევანოვი, მატარაძე, სადაროვი, ციციშვილი, ჭელიძე, ზონელი, ალექსიძე და სხ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი დაკლებულია.

(3—1150—1) ადმინისტრატორი გ. ითრდანიშვილი. რეჟისორი ვ. გუნია.

## პ. ი. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 20 მარტს 1911 წელს.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

## საბედისწერო დამბაჩა | ბუტიაობა

დრამა 3 მოქმ. ტრ. რამიშვილისა. | ვოდ. 1 მოქმ. აკ. წერეთლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გარე-გაბელი, პიკრიტა, გაბელი, ჩირგაძე, ბ-ნი პიაშვილი, გაჩეჩილაძე, გოცირიძე, მდივანი, მეტრეველი, იგურიკს, ფრონისპირელი, ნარი, რატიშვილი, ფრთაძე, ჭიაურელი და შარაშიძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები 5 კ. დან 50 კ.-მდე იყიდება კასაში დილის 10—2 ს. და საღამოს 6—9 საათამდე. (2—1151—1)

### განცხადება

ავეტოვ-ლისიციანის ცირკის შენობა

## გრანდ-ვიო

კვირას, 20 მარტს,

გაიხსნება არა-ჩვეულებრივი უზარმაზარი სინემატოგრაფი. დაწვრილებით აფიშებში. (3—1153—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. სამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ბედდევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

ნალბანდიშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ფარბდიტოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^{1}/_{2}$ ს.

ხობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულხანოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედრეგათ. საფასურით. (წ.—1089—421)

## გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „ახალი საქმე“, „სინათლე“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „სალაშური“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

### არტისტიულ საზოგადოების თეატრსა და დარბაზში

ოთხშაბათს, 21 მარტს,

## ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება საღამო,

შემდეგ პროგრამით

განყოფილება პირველი. თეატრში. ქართულად ერთ-მოქმედებიანი პიესა:

### 1) გულმა ინაძნ (?).

რუსულად ერთ-მოქმედებიანი პიესა

### 1) И Г Р А.

საკონცერტო განყოფილება: როიალი—ნ. დ. ნიკოლაევი ვიოლონჩელი—ე. ნ. კაპელნიცკი. მელოდეკლამაცია—ნ. ი. ვოლკარსკაია და სიმღერა ველელოვზიროვისა და ი. დოლუხანოვი. განყოფილება მეორე. დარბაზში: 1) ძველ ტფილისში, უზუნდარა—ქ. მირიმანოვისა ბარ. კლეისტ. ლექური *** 2) თანამედროვე პარიზში (კაბარე). 3) ციგნური ხორო, მოყვარულთაგან შემდგარი. შემდეგ 12 საათისა და ვახშმის დროს დაუკრავს რუმინთა ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დაწვრილებით აფიშებში.

## გაფრთხილება

რადგანაც მიმსგავსებული პაპიროსები გამოსცეს

**მარსი, 20 ცალი 5 კ. ძმ. სეილანოვების**

ფაბრიკა საზოგადოების ყურადღებას აქცევს იმაზე, რომ ნამდვილ პაპიროსებს

## „მ ა რ ს“

უნდა ეწეროს პაპიროსებს

## ძმ. სეილანოვები

(5—1144—2)

ცნობილი პირველ ხარისხოვანი ფირმა ჩაის თესლისა

## ს. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

### ი. გოკიელოვი და ამხ.—ბი, საპ. საზ. ქუთაისში

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჭიის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—9)

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—4)

### ვაგზლის კერძო

## სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავად-მყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^{1}/_{2}$.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^{1}/_{2}$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით.** (წ. —1090—17)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი.** შინაგან, ბავშვთა, გულისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფ. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—17)

### ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

## საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

## ივ. ბოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—64)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში ჰყავან ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—24)

ელექტრონისა და რენტგენის

### სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, კოჩუბეის ქ. N 20. (ი—5.—74)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. კოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N 2.

**ექიმი რ. დ. მაჩაბელიანი** იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაქოს ქუჩა N 7. თ.—190—104

**ექიმი ი. გაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბარათინის ქუჩების კუთხე N 24. 0—337

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ორშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაყაშვილისა. (უ)

**ექიმი** ქ. ქუთაისში **თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ცირალოვის სახლი. (50—15—45

**ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., N 9. (უ)

**ექიმი** ქუთაისში, **ს. ი. ვოლოხი**

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჰლექიანისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებო შესაწვევებში სტერილიზაცია გაკეთებული ებრუვეტები სისხლის გამოგზავნისთვის გასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—24

## შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა

ფაბრიკისა

ტფილისის განყოფილება

იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ფაბრიკის ფასებში იყიდება. 8 კაპ. 6 მ.-დე. ფაბრიკას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ-დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—5)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სტოლიპინის სამინისტროსა და საკანონმდებლო პალატათა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება რუსეთის პრესის სალაპარაკო საგნად გადაიქცა. „რუსკ. ვედომოსტი“ უფლებრივ თვალსაზრისით ითვალისწინებს მომხდარ ამბებს. გაზეთის აზრით, სამი დღე:

„პატარა ხანია, მაგრამ ისიც საკმარისია, რომ 87 მუხლის წესით გაყვანილ იქმნას კანონი დასავლეთ ერობის შეს. ხებ.“

პრემიერმა, გაზეთის აზრით, შეისრულა წადილი და საკანონმდებლო ორგანოთა დათხოვნით მიიღო კომპენსაცია. მაგრამ აქ იბადება კითხვა, თუ სათათბიროს და საბჭოს მიერ დაწუნებულ კანონ-პროექტის დამტკიცება 87 მუხლის ძალით რამდენად უფლებრივია, რამდენად ეგუება სათათბიროს უფლებრივ წარმოდგენას. გაზეთი განაგრძობს და ასკვნის:

„სათათბიროს და საბჭოს მიერ უკუგდებულ კანონ-პროექტის გაყვანა 87 მუხ. წესით ეწინააღმდეგება კანონის სულს. ამ სტატიის შინაარსი ვერ ეგუება ნორმალურ კანონმდებლობას.“

იურიდიულ მოსაზრებით გაზეთს შეუძლებლად მიაჩნია მთავრობის მოქმედების გამართლება. მაშ იქნება:

„სახელმწიფოებრივი აუცილებლობა იყო, რომელსაც მალი-მალ ასხენებს ხოლმე სამინისტროს თავჯდომარე? ან იქნება ნაციონალურ კურიების დამარცხება სახელმწიფოებრივ კეთილდღეობის საფუძველს ძირს უთხრიდა? თუ ეს ასე არ არის, თუ ზომიერ წრეებშიაც კი იმ გვარს ერობას, რომელსაც სტოლიპინი აძლევს დასავლეთ გუბერნიებს, ეჭვის თვალით უცქერიან,—მაშინ საშიში დ სულ სხვა რამ უნდა ჩაითვალოს; სახელდობრ ის, რომ ხშირად უფლებრივ ნორმებს გადალახავენ ხოლმე და დახლართულ კვანძის გასახსნელად კი არც ძალა შესწევთ და არც სურვილი“.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

თ-დი გოლიცინსკი თავმჯდომარეობს.

სავზიის მოხსენებით საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა 109,125,829 მანეთს უდრის. მომხსენებლის აზრით უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში საზღვაო მეურნეობაში თითქმის არაფერი გაკეთებულა, განსაკუთრებით საზღვაო დაცვის საქმეში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომელთაც დიდი ნაბიჯი წაუდგავთ წინ. ყოველივე ამას გულგატეხილობამდე მივყევართ და იმედს გვიცრუებს, რომ მომავალში მაინც ველირსოთ ჩვენის ფლოტის აღორძინებას. განსაზღვრულ საქმეზე გადადებულ თანხებს ეს უწყება სულ სხვა საქმეზე ჰხარჯავს, რომელთაც აღნიშნულ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს. ასეთს პირობებში სათათბირო დარწმუნებული ვერ იქნება, თუ იმას მოახმარებენ ფულს, რისთვისაც თხოულობენ.

მომხსენებელს სასურველად მიაჩნია საზღვაო უწყებამ ნავთსადგურები მოაწესრიგოს, ყოვლ-გათავებულ მოსამსახურეთა რიცხვი გაამრავლოს, და დაუყოვნებლად შესაფერი ზომები მიიღოს შავი ზღვის დაცვის უზრუნველსაყოფად. მომქმედ ფლოტსა და საზოგადოებაში ხმები დადის: საზღვაო უწყების რეფორმას ის აბანდებს, ვითომც სათათბირო სესხზე უარს ეუბნებოდეს. ეს ასე არ არის: უწყებამ ყველა მის მიერ ნათხოვნი სესხი მიიღო. ამას გარდა სათათბირომ ზედმეტადაც დიდძალი თანხა მისცა. საქმეს აბანდებს უწყების ორგანიზაცია, რომელსაც გადადებული ფული ფაქტიურად შესაფერისად ვერ მოუხმარებია. უმეტესი ნაწილი გემთა ასაშენებელ თანხისა, ვალების გასტუმრებას შეალიეს. დროა ძველს ყველაფერს ჯვარი დაესვას, დროა საზღვაო უწყებაში მიღებულ წესებს ბოლო მოეღოს. წარსულზე ლაპარაკი კმარა, საჭიროა ახალ საომარ ძალის შექმნა (ტაშის ცემა).

საზღვაო მინისტრის ამხანაგი აცხადებს: უწყება ძველ გემთა შემცირებას შეუდგა. წელს ბალტიის ზღვაზე ახალი საომარი ესკადრა მზადდება, ეს იქნება სათავე ფლოტის განვითარებისა. მინისტრის განცხადებით, საზღვაო უწყებაში დაბალ-განათლება მიღებულნი მსახურებენ: სპეციალისტებად ანბანის უცოდინართა მომზადება გვიძდება. ყოვლ-გათავებული ტეხნიკოსი მოსამსახურენი კერძო სასწავლებელში გადადიან, სადაც მეტ ხელფასს აძლევენ; მცირე რიცხვი გვრჩება, ისიც უვარგისი. გემთა საამშენებლო გემის უქონლობისა გამო, გემის აგება უფრო ძვირად გვიჯდება, ვიდრე საზღვარ-გარედ და უფრო მძიმედაც სწარმოებს საქმე. რუსი მუშები რომ ვამუშაოთ და რუსეთის მასალა ვახმაროთ—ხარჯს 25 პროცენტით გაადიდებს. მოსამსახურეთა შემადგენ-

ლობა და ნივთიერი მხარე, თუ [illegible] მოგვიხდა, დამაკმაყოფილებელია. მინისტრის ამხანაგი წინააღმდეგია კომისიის მიერ ხარჯთ-აღრიცხვის შემცირებაზე (მარჯვივ და ცენტრში ტაშს უკრავენ).

ფედოროვი. თუმცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოთხის წლის წინედ დაგვპირდა საზღვაო უწყებაში რეფორმებს მოვახდენო მაგრამ არავითარი რეფორმა არ მოუხდენია. მიზეზი ისაა, რომ რეფორმის საქმე იმათს ხელშივე დარჩა, ვინც ფლოტი შემუსრა. პირველ ხანებში ცუსიმის წინ და ცუსიმის მერე მსახურთა შორის ბრძოლა იყო, ბოლოს კი ასპარეზი ცუსიმის წინედ მსახურთ დარჩათ. ორატორი აღნიშნავს, რომ სამხედრო უწყება ხალისიანათ ასრულებს პალატთა სურვილებს, საზღვაო კი-არა. ორატორი ამ გარემოებაში ჰხედავს საზღვაო მინისტრის ყოველ საქმეში დაცარვას.

გოლიკოვი მეორე გადაჭრით წინააღმდეგია ხარჯთ-აღრიცხვის შემცირებისა: თუ საზღვაო სამინისტროს ამმოძრავებელ ბორბალს წყალს მოუკლებთ, უფრო ნელა იბრუნებსო (მარჯვნივ ტაშის ცემა).

ჩელნოკოვი იმეორებს, საზღვაო უწყებაში ახალ წესებს ახალი მინისტრი შეიტანს, რომელიც მოსალოდნელი დაინიშნოსო. სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, ჩვენ ფლოტის შენახვად მეტად ძვირად გვიჯდება. საომარი გემები მეტათ მცირე გვაქვს. გემთა საამშენებლო ქარხნები უნუგეშო მდგომარეობაშია. სამინისტროს ქაღალდზე დაწერილი ცნობანი გემთა რაოდენობაზე გადაჭარბებულია. სახელმწიფოს დასაცავად საზღვაო უწყებას არაფერი გაუკეთებია, გარდა იმ ოთხის ჯავშნიან გემის დაწყებისა, რომელსაც შემთხვევით მოჰკიდა ხელი. საზღვაო მინისტრის ამხანაგის ლაპარაკმა მხოლოდ დაადასტურა, რომ საზღვაო უწყებაში ყველაფერი ძველებურად მიდის და ასევე ივლის. ამისათვის ორატორი თხოულობს კომისიის მიერ შემცირებული ხარჯები უსათუოდ გამორიცხონ ხარჯთ-აღრიცხვიდან. თუ საზღვაო სამინისტრო ძველებურ მოღვაწეობას კვლავ განაგრძობს, ერთი-ღა დაგვრჩენია: საზღვაო სამინისტრო, როგორც დამოუკიდებელი უწყება გაუქმდეს და, როგორც ავსტრიაში, სამხედრო სამინისტროს დაექვემდებაროს, რომელიც ერთად-ერთი პასუხის-მგებელია სახელმწიფოს დაცვის საქმეში (მარცხნივ ტაშისცემა).

ფუგაროვი. საჭიროა შავი ზღვის ფლოტი საჩქაროდ გავაძლიეროთ, რადგანაც მთელი ჩვენი შავი ზღვის ნაპირები მტრის ფლოტის სანავარდოდ გამხდარა. ოსმალეთი დღეს ფლოტის განახლებას შეუდგა: ხაზინის მიერ გადადებულ დიდძალ თანხის გარდა, ფლოტის გაძლიერებლად ყოველის მხრიდან ფულსა სწირავენ. ოსმალეთი, ახლო მომავალში, პირველ ხარისხოვან ზღვაოსან სახელმწიფოდ გახდება, ჩვენ კი ამ მხრივ ხელიც არ გაგვინძრევია.

გოდნევი. როგორც სახელმწიფო კონტროლის ანგარიშიდანა სჩანს, საზღვაო სამინისტრო მიღებულ სესხს დანიშნულებისამებრ არა ჰხარჯავს. გემთა აშენების საქმეს გეგმის მიხედვით არ აწარმოებს. დამზოგველობას არ იჩენს, საზღვაო უწყების თითქმის ყველა მოსამსახურენი უწესო ხარჯებში მონაწილენი არიან. ასეთ პირობებში დიდი სიფრთხილე გვმართებს თანხის გადადების დროს და კომისიის აღნუსხვას არ უნდა გადავაჭარბოთ (მარცხნივ და ცენტრში ტაშისცემა).

ტიმოშკინი ხარჯთ-აღრიცხვის შემცირების წინააღმდეგია, რადგანაც დღეს სამხედრო ფლოტის დასუსტება შეუძლებელია.

ზვეგინცევი აღნიშნავს საზღვაო უწყებაში სრულ არევ-დარევას, არავითარ მიზან-შეწონილი მოქმედება და შემუშავებული გეგმა არა აქვთ გადადებულ თანხათა განაწილება-ხარჯვაში; სათათბიროს ერთად-ერთი და დარჩენია მეფეს მოახსენოს, რომ საზღვაო სამინისტროს ცენტრალური უწყება მოვალეობათა არევ-დარევას ახდენს და თავის დანიშნულებას არ შეეფერება; საზღვაო შეიარაღების სამმართველო არა აქვს, გემთა გადაკეთება საომრად გამზადებულ წესებს ვერ აკმაყოფილებს. მაგრამ სათათბიროს ასეთ ზომის ხმარების უფლება არა აქვს. სათათბირომ იმედი უნდა იქონიოს, რომ ის პირი, რომელიც საზღვაო მინისტრის სავარძელში ჩაჯდება, უწყების საქმეებს გაეცნობა და თავის მოვალეობად ჩასთვლის ეს აზრი მეფეს მოახსენოს (ტაშის ცემა).

შინგარევი. საბჭოს წევრთა კომისიის რერბერგისა, დმიტრიუკისა და რედიგერის უკვეშევრდომილის მოხსენების თანახმად აცხადებს, რომ საზღვაო უწყებაში დაუზოგველობა, თვითნებობა და კანონთა სისტემატიური დარღვევა სუფევს ფულის ხარჯვაში. უწყება დაიჯდეს რასმე მაშინ, როდესაც მისი ნახატი გეგმა ჯერ არა აქვს; ამისი ბრალია მუდმივი გადაკეთება დაკვეთილისა და საქმის დაბანდება. გადადებულ ფულს უწყება ისე უკანონოდ ხმარობს, რომ ქარხნების ვალი 40 მილიონამდე აქვს. დაკვეთის პირობის წერილები წინა თარიღითაა დაწერილი.

წყალ ქვეშ მავალი ნავები, რომელიც სახელმწიფოს საიდუმლოებას წარმოადგენს, კერძო ქარხნებშია შეკვეთილი, რომლის ერთი აქციონერთაგანი—გერმანელი მაიორია და ავსტრო-უნგრეთის ვიცე-კონსული. ეს მაგალითებიც ცხადლივ ამტკიცებს, რომ საზღვაო უწყება უნუგეშო მდგომარეობაშია.

ამის გამო საკანონმდებლო დაწესებულებათა წევრნი ვერ წააქეზებენ იმათ, ვინც სახელმწიფოს დაცვის საქმეს განსაცდელში აგდებს (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

შემდეგი სხდომა ხვალ მოხდება.

## სახელმწიფო საბჭო

15 მარტის სხდომა. **თავმჯდომარეობს აკიმოვი**. კენჭის ყრით, რომელიც ბარათებით მოხდა, საბჭოს შუამდგომლობის კომისიის წინადადება 113 ხმით, წინააღმდეგ 21 მიღებულ იქმნა. წინადადებამ საბჭოს წევრი ვერდანსკი საბჭოდან გარიცხულად სცნო. ხელოვნურ ტკბილეულობის გაკეთების, სარგებლობის და გაყიდვის კანონ-პროექტის განხილვამდე სიტყვა ითხოვა კობილინსკიმ. თავმჯდომარე წინასწარ ჰკითხავს, რაზე ჰსურს მას ლაპარაკი?

**კობილინსკი.** მე მსურს, ვიდრე საბჭოს კრებათა შეწყვეტის შემდეგ პირველად შემოტანილ კანონ-პროექტს განვიხილავდეთ, რამდენიმე სიტყვა მეთქვა იმ მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც იძულებულნი ვართ ეს კანონ-პროექტი განვიხილოთ. ამას გარდა საზოგადოდ მინდა ვსთქვა რამდენიმე სიტყვა 87—მუხლის ძალით დასავლეთ გუბერნიებში ერობათა შემოღების შესახებ.

**თავმჯდომარე.** მომიტევეთ, მაგრამ არ შემიძლიან მაგის თაობაზე სიტყვის ნება მოგცეთ. პატონებო! სახელმწიფო საბჭო, რაც უნდა მძიმე წუთები გადახდეს, რანაირადაც არ უნდა ამტყუნებდნენ და სჯორავდნენ მას, მუდამ ჩუმად უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში თავისი სხდომები საპოლიტიკო დემონსტრაციების ასპარეზად არ უნდა გახადოს. საბჭოსათვის მხოლოდ იმპერატორის ნდობაა ძვირფასი. ბედნიერად ვრაცხ ჩემ თავს განვაცხადო, რომ ეს ნდობა არაფრით არ შერყეულა.

ყველა დამსწრე დგება და დარბაზში „ურა" გაისმის. შემდეგ, კანონ-პროექტის განხილვას იწყებენ. შემმანის წინადადებით, იგი საკანონმდებლო წინადადებათა კომისიას გადაეცა.

**აკიმოვი თავმჯდომარეობს.** განსახილველია კანონ-პროექტი ფინანსთა სამინისტროსი, ქარხნებში დასახიჩრებულ მუშათა დასაჩუქრების შესახებ. ეს კანონ-პროექტი სათათბირომ მეორედ წარადგინა. იგი შემთანხმებელ კომისიამ განიხილა.

მომხსენებელმა **ტრიპოლიტოვმა** განმარტა: არსებითი უთანხმოება საბჭოსა და სათათბიროს შორის მხოლოდ 1 და 53 მუხლმა გამოიწვია. ეს მუხლები იმ პირთა შემადგენლობას განმარტავს, რომელთაც ეს კანონი იცავს. საბჭომ მიზნად კანონმდებლობის ერთსულოვნება დაისახა და ამიტომ ეს კანონი 1903 წ. 2 თიბათვის კანონს დაუახლოვა. საბჭომ ის იკმარა, რომ დასაჩუქრება მხოლოდ წარმოებაში დაშავებულ მუშისათვის დააკანონა, სავაჭროების მოსამსახურეცი კი გამოსტოვა. შემთანხმებელმა კომისიამ ასეთი შეცვლილი კანონ-პროექტი მიიღო, მაგრამ სათათბირო ძველის აზრზე დარჩა.

**ფინანსთა მინისტრი:** ეს კანონი სრული 8 წელიწადია განუხორციელებელი დარჩა, თუმცა მას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. იგი მხოლოდ მეორე ხარისხოვანია. ასეთი კანონები საარტილერიო და სხვა დაწესებულებებში უკვე ძალაშია. ამ კანონის განხორციელებას სრული სამართლიანობა მოითხოვს. თუ დავიცდით, სანამ მუშათა დამზღვევი საერთო კანონი გამოიცეს, დიდი დრო გავა. მინისტრი წინადადებას იძლევა, პროექტი ისე მიიღონ, როგორც სათათბიროს მიუღია.

ამავე აზრისანი არიან **ტიმირიაზევი, ერმოლოვი, სახლერი და კონი.**

**კონმა** მაგალითი თავის სამოსამართლო გამოცდილებიდან მოიყვანა და კანონ-პროექტის მიღებასა თხოულობდა.

კანონ-პროექტი საბჭომ მუხლობით განხილვის შემდეგ, ერთხმად მიიღო იმ სახით როგორც სათათბირომ.

სათათბიროს რედაქციით უკამათოთ მიიღეს 11 წვრილი კანონ პროექტი.

## ახალი ამბები

### ტფილისი

✦ როგორც გადმოგვცეს, ქართველთა შორის **წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარ გამგეობას საზოგადოების განყოფილებათაგან ერთობ გვიან მისდის საჭირო ანგარიშები, რაიც დიდად ხელს უშლის წლიურ ანგარიშის **დროზე** შედგენასა და დაბეჭდვას. რა ზომები იქნეს მიღებული, რომ ანგარიშები თავის დროზე მიიღოს განყოფილებათაგან, ამაზე მთავარი გამგეობა ერთს თავის უახლოეს კრებაზე ითათბირებს.

✦ ტფ. გუბერნატორმა **100 მან.** დააჯარიმა თავ. გ. მ. ამირეჯიბი პოლიციელთა შეურაცხყოფისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთის თვით დააპატიმრებენ.

✦ შაბათს, 19 მარტს, ქართველთა შორის **წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარ გამგეობის მორიგი კრება მოხდება, რომელზედაც, სხვათა შორის ცადასწყვეტენ როდის მოიწვიონ საზოგადოების წლიური კრება.

✦ ამ დღეებში კრება ჰქონდა **მშობელთა წრეების ცენტრალურ** საბჭოს. საბჭომ მსჯელობა იქონია იმის შესახებ, რომ ოფიციალურ ცნობით უსაფუძვლო გამოდგა ხმები ტფილისში „სიყვარულის ლიგის" არსებობის შესახებ და საჭიროდ დაინახა, წინადადება მისცეს მშობელთა წრეებს, რომ ზომები მიიღონ იმათ მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რომელნიც ამ ცრუ ხმების გამო უსამართლოდ დაისაჯნენ.

✦ მოკლე ხანში სოფელ ახმეტაში (თიან. მაზრა) **ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება** დაარსდება. ამ სოფლის მცხოვრებლებმა შენობის მოსაწყობად 900 მან. გადაიხადეს. ახლა კიდევ 100 მან. სთხოვენ.

✦ ტფ. პოლიცმეისტერი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა ტფილისში **ობერ-პოლიცმეისტერის თანამდებობა** დაარსდეს.

✦ 22 მარტს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება მოხდება. 16 მარტისთვის დანიშნული კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

✦ ტფ. გუბერნატორმა **ხორცის ახალი ნიხრი** უკვე დაამტკიცა. გირვანქა ხორცი ჰღირს: ძროხისა—13 კაპ., სუკი—მორიგებით, ცხვრისა—16, გაუტყავებელი ღორის ხორცი 13 და გატყავებული—14 კაპ.

✦ ოთხშაბათს, 22 მარტს, ქალთა უმაღლეს კურსებზე **ს. კაკაბაძე წაიკითხავს გამოსაცდელ ლექციას** შემდეგს თემაზე: „ფეოდალური წესწყობილების ხასიათი და საგლეხო გადასახადები საშუალო საუკუნოების დასასრულს". ეს თემა დანიშნულია თვით კურსების საბჭოს მიერ.

✦ ოცდა ხუთ მარტს გოგოლის ქუჩაზე, საქალაქო სასწავლებელში, მოხდება **დამფუძნებელი კრება მუშა ქალთა კლუბისა**, რომელსაც კავკასიის ქალთა ტფილისის საზოგადოება აარსებს.

✦ 16 მარტს უკვე **დაამტკიცეს „სახალხო გაზეთის" რედაქტორი** ი. სონღულაშვილი, რომელსაც სასამართლოსგან ერთის წლით ციხეში ჩაჯდომა ჰქონდა გადაწყვეტილი.

✦ ამ დღეებში კრება ჰქონდა ტფ. **ყასბთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების** გამგეობას, რომელმაც ითათბირა ხორცის გაძვირების თაობაზე. გამგეობის აზრით, ხორცის სიძვირე გამოიწვია იმან, რომ ჩარჩები ქალაქ გარედვე ყიდულობენ საქონელს და შემდეგ როგორც უნდათ, ისე ჰყიდიან. მეორე მიზეზად დაასახელეს ის, რომ ქალაქის მრავალ ადგილას ფარული სასაკლაოებია მოწყობილი. გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს ქალაქის გამგეობას, რათა [illegible] თავის ხარჯით 8 კაცი მოიწვიონ, რომელთაც ქალაქის სავაჭრო პოლიციასთან ერთად ზომები უნდა მიიღონ ჩარჩებისა და ფარულ სასაკლაოების მომწყობთა წინააღმდეგ. შესაფერი თხოვნა ქალაქის გამგეობას უკვე წარედგინა.

✦ **ახალი საფოსტო განყოფილებანი** გაიხსნებიან: სოლოლაკის რაიონში (ორის თვის შემდეგ) და ტფ. რკინის გზის სადგურის მახლობლად (შემოდგომაზე).

✦ რედაქციამ მიიღო **სამეურნეო ჟურნალ „მოსავლი"-ს** მორიგი (6) ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია წერილები: ვ. რცხილაძისა, გ. ნახუცრიშვილისა, მღ. ალ. ჯალიაშვილისა, გრ. ცხადაძისა, ს. კახელიძისა და ე. მაჩაბელისა.

✦ 20 მარტს მსახიობი ვ. მატარაძე ქართულ თეატრში ქართულ-დრამატიულ დასის მსახიობთა მონაწილეობით **წარმოადგენს** გამართავს. წარმოდგენილ იქნება „მტარვალი".

✦ თელავის ქალაქის თვით-მმართველობამ თავ. ვახვახიშვილისაგან უფლება შეიძინა იმისა, რომ მის ადგილით „კრუხევში" წყალით ისარგებლოს. ამ ქამაც კავკასიის ნამესტნიკმა ქალაქს ნება დართო, საჭირო ხარჯის გასასტუმრებლად —1,280 მან. ისესხოს ქალაქის სათადარიგო თანხიდან, იმ პირობით, რომ ფული 10 წლის განმავლობაში ისევ შეიტანოს სათადარიგო თანხაში.

✦ ნამესტნიკმა ნება დართო, კავკასიის სცენებზე ქართულად წარმოადგინონ 4 მოქმ. პიესა „ბავშვის კატორგა", თხზულება ანდრე-დე-ლორდისა და პიერ შენისა, თარგმანი გ. მუმლაძისა.

✦ რედაქციამ მიიღო **ახალი წიგნი „ქადაგებანი იოანნე ბოლნელ ეპისკოპოსის (მე-X საუკუნის ხელნაწერიდან)"**, გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა. წიგნი 88 გვერდს შეიცავს და ღირს 1 მან.

✦ **„ვერის კატასტროფა".** გუშინ 17 მარტს ტფილისის ოლქის სასამართლო შეუდგა შარშან, 6 იანვარს, ვერის დაღმართზე მომხდარ კატასტროფის საქმის გარჩევას. დამნაშავეთა სკამზე სხედან ტფილისის ტრამვაის დირექტორად ნამყოფი ბელგიის ქვეშევრდომი კ. ბატაილი, მოძრაობის უფროსი სა-

## სიმღერა

ახ, ნეტავ გულით რაც მინდა
ის მომიყვანა ყანადა:
დღე-ღამეს გავასწორებდი
მარტო მომკიდი თავადა,
არავის ვიშველიებდი,
ვიმუშავებდი ცალადა.
გინდ შავჭრილიყავ ნამგალსა,
გინდ გამხდარიყავ ავადა.
მოუხდებოდა გულ-მკერდსა
ოფლი მდინარიყო ღვარადა.
მარტო გავლეწდი კალოსა,
დავგროვებდი ხვავადა.
ზურგით წისქვილში ვზიდავდი
ხორბალსა დასაფქვავადა.
პურს თავად გამოვაცხობდი
ფეხზე მდგომელი მარადა.
დავაპურებდი ქვეყანას
მხიარული ჭამადა.
თავს ბედნიერად ვიგრძნობდი
არ ვიმღერებდი მარადა.

ვაჟა-ფშაველა.

## დროებით ვალდებულ გლეხების სახნავ-მიწების რაოდენობა საქართველოში

ჩვენი წერილებიდან მკითხველი საზოგადოება ნათლად დაინახავდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხების მიწის სივიწროვეს. ამ წერილებიდან კი გამოჩნდება, რომ არა უკეთეს პირობებში იმყოფება დროებით ვალდებული გლეხები. დროებით ვალდებულთა უკიდურესი მდგომარეობა პირდაპირ უმიწა-წყლობით უნდა აიხსნას, რადგანაც დროებით ვალდებულება ახალ ნაირი ფორმაა ბატონ-ყმურ განწყობილებისა.

მიწა მე-60 წ. წ. ერთად-ერთი წყარო იყო გლეხის არსებობისა. რადგან ვაჭრობა-აღებ-მიცემობა და ინდუსტრიალური მრეწველობა მხოლოდ ფეხს იდგამდა და სათანადოდ ჯერ კიდევ არ განვითარებულიყო, გლეხ-კაცს შეეძლო მიწისათვის არ მიემართნა. გლეხს მიწა არ ჰქონდა, ამიტომ იგი იძულებული ხდებოდა მიემართნა იმისთვის, ვისაც მიწა ჰქონდა. ეს კი, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, თავად-აზნაურობა იყო.

თავად-აზნაურობა მიწას ბატონ-ყმობის მოსპობის პირველ დღიდანვე ჰყიდდა, მაგრამ მყიდველები მაშინ შედარებით ნაკლები იყო. მყიდველებს შორის კი უდიდესი ნაწილი გლეხ-კაცობა იყო მაგრამ, ეს იყო გლეხ-კაცობის შეძლებული ნაწილი. გლეხკაცობის დიდ უმრავლესობას საშუალება არა ჰქონდა მამული შეეძინა, საამისოდ ფული არ გაჩნდა და, მაშასადამე, მემამულის მიწა უნდა აეღო იჯარით. მიწის იჯარა კი მეტისმეტად მძიმე იყო საქართველოში. ამ საკითხს ჩვენ საგანგებოდ შევეხებით შემდეგში მეურნეობიდან გლეხს სრულებით არაფერი რჩებოდა და დიდი ნაწილი მისი შრომისა თვით მებატონეს მიჰქონდა ღალისა, კულუხისა თუ სხვა რამ გადასახადის სახით. ამის გამო გლეხობა იმ თანხას ველარ აგროვებდა, რომლითაც შეეძლო მცირე ნადელი ბატონისაგან გამოესყიდა. რამდენადაც წინ მიდიოდა ცხოვრება, რთულდებოდა სოციალური და ეკონომიური პირობები—მაღლა იწევდა მიწის ფასიც, რენტაც, და გლეხ-კაცსაც მიწის შეძენა უფრო და უფრო უძნელდებოდა.

თუ რა რიგ მძიმე პირობებში იყო ეს ხალხი ჩაყენებული უმიწა-წყლობით, ამას მკითხველი ადვილად მიხვდება თუნდ იმ გარემოებიდან, რომ დროებით ვალდებულთა ინსტიტუტი დღესაც არსებობს, დროებით ვალდებულ გლეხებს დღესაც ვერ დაუხსნიათ თავი თუმცა ბატონყმობის გადავარდნიდან უკვე კარგა ხანმა გაიარა.

ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ დროებით ვალდებულთა რიცხვი ტფილისის გუბერნიაში ითვლებოდა სულ 14,230 კომლი, გარდა საეზოვე და საკენახე მიწა-ადგილებისა, რომელნიც მთლად შეადგენდა 7,049 დესეტინა მიწას, მათ განკარგულებაში ირიცხებოდა 34,992 სახნავ-სათესი სარწყავი მიწა და 42,624 ურწყავი სახნავ-სათესი მიწა, სულ 84,665 დესეტინა. ასე რომ, თვითეულ კომლზე 5,9 დესეტინა მიწა მოდიოდა. ასეთს ცნობებს იძლევა „სტატისტიკურ ცნობათა კრებული".

ბატონ-ყმობის მოსპობამ ამ ხალხზე ძალიან ცუდი გავლენა იქონია. ბატონ-ყმობის მოსპობით გლეხკაცობა მაინც ვერ ჩავარდა ისეთს პირობებში, რომ ძველებურად არა ყოფილიყო დამოკიდებული თავად-აზნაურობის უპირატესობისაგან. ისედაც პატარა მიწად-მფლობელობა გლეხ-კაცობისა უფრო დაპატარავდა. ასე, მაგალითად, იმ მიწიდან, რომლითაც გლეხ-კაცი სარგებლობდა ბატონ-ყმობის დროს, დიდის ვაი-ვაგლახით ხელშეუხებლად დაუტოვეს საეზოვე მიწა და პატარა ბაღები, ხოლო სახნავ-სათეს მიწებიდან—84,7 ათას დესეტინიდან გლეხებს ჩამოერთვა მთელი 36,1 ათასი დესეტინა მიწა-წყალი და შერჩა მხოლოდ 48,6 ათასი დესეტინა. ამნაირად, ძველმა ბატონებმა გლეხების მთელი 42,68% ავლა-დიდება მიისაკუთრა. წინად თუ კომლზე 5,9 დეს. მოდიოდა, ეხლა თვითეულ კომლზე მოდის არა 5,9 დეს., არამედ რაღაც 3,4 დესეტინა.

ბატონ-ყმობის შემდეგ რომ საქართველოს გლეხ-კაცობის მდგომარეობა გაურესდა, ამას აშკარად აღიარებენ ყველა ეკონომისტები და სახელმწიფო მოღვაწეები. მაგრამ „დროებით ვალდებულ გლეხების ცხოვრებაში 70—80 წ.წ. საქართველოში დიდი ცვლილებები მოხდა, რომლებმაც დროებით ვალდებულებზე დიდი გავლენა იქონია. ეს ცვლილებები გამოიხატება საერთო ეკონომიურ და სამოქალაქო ცხოვრების განვითარებაში. ეკონომიურ ცხოვრების ცვლილებამ სოფლის მეურნეობაზედაც დიდი გავლენა იქონია. სოფლის მძიმე პირობებს ხალხი სიამოვნებით უსხლტებოდა და საერთოდ სოფლის ერთნაირი დაცალიერება—ამ სიტყვით ვიწრო მნიშვნელობით — თავად-აზნაურულ რენტის და სოფლს წარმოების დაცემას მოასწავებდა. რენტის დაცემა და სოფლის მეურნეობის კრიზისი თავად-აზნაურობისათვის ლახვარი იყო. ამიტომ შესაფერი ზომებიც იქმნა მიღებული. მთავრობამ დროებით ვალდებულ გლეხებს მიწად-მფლობელობის გასაფართოებლად 0,7 მილიონი მანეთი გადასცა, რაიც თვითეულ მამაკაცზე შეადგენდა 11,6 მან., ეს რიცხვი კიდევ უფრო შემცირდება, თუ დედობრივ სქესსაც მივიღებთ მხედველობაში.

ამ სესხს რომ ვერ შეეძლო დროებით ვალდებულების მემამულეთა ხელიდან გამოგლეჯა და მიწათ-მფლობელობის გაფართოვება, ეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რადგანაც 11,6 მანეთად სახნავ-სათეს მიწის ყიდვა, თუნდ 0,5 დესეტინის, ისიც ისეთს სიძვირეში, როგორიც საქართველოშია, პირდაპირ ოცნებაა. ამიტომ „სტატისტიკურ ცნობათა კრებული"-ს აზრი, თითქოს 1889 წ. დასაწყისში გლეხობას მთავრობის დახმარებით 15,159 დეს. და 1120 ქცევა მიწა შეეძინოს—საფუძვლიან ეჭვებს იწვევს მიუდგომელ მკვლევარის თვალში. ჩვენის ფიქრით, თუ გლეხობა მიწის შეძენას რამდენადმე ახერხებდა მე-80—90 წ. წ., ეს ხდებოდა მთავრობის დახმარებით კი არა, არამედ იმით, რომ გლეხ-კაცობის შრომის ასპარეზი გაეშალა მრეწველობის განვითარებით. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, საზოგადო ჯამი გამოსყიდულ მიწებისა ძალიან პატარაა. მე 90 წ. „კრებული"-ს აზრით, მთელი 70% გლეხ-კაცობისა მემა-

ფრანგეთის ქვეშევრდომი რ. იზანბერგი და ინჟ. ა. ალექსანდერი. პირველს იცავს ნაფიც. ვექილი მ. ო. გრუზენბერგი, უკანასკნელთ ნაფ. ვექ. კლანკი. ამ საქმის გამო დაბარებულია 72 მოწმე. აქედან 4 გარდაცვლილა, ხოლო 20 არ გამოცხადდა. ამის გამო დამცველებმა მოითხოვეს საქმე გადედვათ, მაგრამ სასამართლომ უარჰყო ეს და შეუდგა საქმის გარჩევას. წაკითხულ იქმნა საბრალმდებულო ოქმი და შეუდგნენ მოწმეების შეკითხვას. გუშინ მოასწრეს მხოლოდ რამდენიმე მოწმის გამოკითხვა. საქმე ალბათ 4—5 დღეს გასტანს.

◆ ხვალ, 19 მარტს, სახაზინო თეატრში გაიმართება ბასი რამდენიმე ლექტორის შემდეგ თემაზე: „სიყვარული ახალ რუსულ მწერლობაში“. მ. ა. მუხარინსკისა: „სიყვარული ზუხოვისა“ მ. ა. ანდრეევი: „სიყვარული ტურგენევისა და სხ. ახალ-მწერლებისა“ (არციბაშევისა, კამიუსისა). დ. კ. გემპტენი: „სიყვარული—სტოქია“ (კნუტ ჰამსუნი და შნიცლერი). ა. კ. კაზდოვი: „სიყვარული და იზგიანობა“ (ტოლსტოი); მ. დ. ფრენკელი: „სიყვარული და პორნოგრაფია“.

◆ დღეს დილით დაატუსაღეს, მაგრამ 500 მანეთის თავდებობით ისევ მალე განთავისუფლდეს უკვე დახურულ ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ რედაქტორი ს. ყიფიანი 129 მ. მუხ. ძალით მას ბრალი ედება მასში, რომ თავის ჟურნალის მეცხრე ნომერში დასტამბა მეთაური წერილი „საშინელი მდგომარეობა“.

◆ უკვე შეუდგნენ ტფ. ბოტანიკურ ბაღის ძველ შენობების განახლებას.

◆ 16 მარტს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 43 უპასპორტო.

◆ ტფ. სასტუმროებისა, რესტორანებისა და სხვა ამგვარ დაწესებულებათა მოსამსახურეების სურთიერთო დამხმარე საზოგადოების კრება დანიშნულია 22 მარტისთვის. 16 მარტისთვის დანიშნული კრება წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო არ შესდგა.

◆ ნავთლუღში საპნის ქარხნისთვის ახალს შენობას აგებენ. მიწის თხრის დროს ამოუღიათ ძველებური არხის მილები, რომელიც ქარხნის კანტორაში ინახება.

◆ ამ ორი დღის წინედ ელისაბედის [illegible] ნიშადურით თავი მოიწამლა 22 წლის ქალმა აიკანუშ ვ. იგი წაუყვანიათ მიხეილის საავადმყოფოში, სადაც გუშინ უკვე გარდაიცვალა.

◆ გუშინ წინ, ფოსტა ტელეგრაფის კანტორაში, იქ, სადაც მარკებსა ჰყიდიან ბ. გ—სათვის მოუპარავთ 11 მანეთი. კანტორაში ერთი კარგად ჩაცმული კაცის მეტი არავინ ყოფილა, გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ხშირად კანტორაში სდგანან ხოლმე ისეთი პირნი, რომელთაც არავითარი საქმე არა აქვთ.

## ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე

16 მარტი.

კრება საღამოს 8 საათზე დაიწყო გენერალ გ. ნ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით. მდივნად არჩეულ იქმნა კ. ი. ტყავაძე.

კრების **თავმჯდომარემ** აღნიშნა მოსალოდნელი სარგებლობა ამ ახალ საზოგადოებისა და უკანასკნელის დაარსების მოთავეს თავ. ს. რ. ვახვახიშვილს მადლობა გადაუხადა შრომისათვის. დასასრულ, თავმჯდომარემ საზოგადოებას უსურვა წინმსვლელობა და იმ იმედის გამართლება, რომელსაც მასზე ამყარებენ მისი დაარსების მოთავენი.

თავმჯდომარის შემდეგ ვრცელი და საყურადღებო მოხსენება წაიკითხა **თავ. ს. რ. ვახვახიშვილმა.** პირველად მომხსენებელმა აღნიშნა მიზანი ქართულ სამეურნეო საზოგადოებისა და შემდეგ გადაჭრით უარჰყო ის ახირებული აზრი, ვითომც ახალი საზოგადოება ხელ-ფეხს შეუბორკავდეს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას. პირიქით—განაგრძო ორატორმა—ეს ორი საზოგადოება ერთი მეორეს დიდად შეუწყობს ხელს; კავკასიის სამეურნეო საზოგადოება საგნებს და სხვა და სხვა ზომებს თეორიულად გადასჭრის, ხოლო ამ განზრახვებს ცხოვრებაში ახლად დაარსებული საზოგადოება განახორციელებსო. ამ აზრის დასამტკიცებლად თავ. ვახვახიშვილმა მოიყვანა მაგალითი დასავლეთ ევროპის ხალხთა ცხოვრებიდან, სადაც ასეთი საზოგადოებანი ერთი-მეორის აუცილებელ დამატებას შეადგენენო. შემდეგ ორატორი გადავიდა იმაზე, თუ რას უნდა ემსახუროს საზოგადოება და რა გზით. მისის აზრით, 1) საჭიროა ხალხში გავრცელებულ იქმნეს სასოფლო სამეურნეო ცოდნა, 2) გამოძებნილ უნდა იქმნეს ნივთიერი საშუალებანი (საწარმოო თანხა), რისთვისაც ა) დაარსებულ უნდა იქმნეს საკრედიტო ამხანაგობანი, ბ) საზოგადოების განკარგულებაში გადავიდეს ის სამეურნეო (თავადაზნაურობის) თანხა (30—40 ათასი მანეთი), რომელიც ყოველ წლივ გაიცემოდა ხოლმე ტფ. გუბერნიის მცხოვრებთა საჭიროებათათვის და გ) გადავიდეს საზოგადოების განკარგულებაში აგრეთვე სოფლის სამეურნეო თანხა, და 3) მოწყობილ უნდა იქმნეს სამეურნეო და სხვა ამგვარი კოოპერატიული ამხანაგობანი.

საზოგადოების მდივნის შესახებ ხარჯს მომხსენებლის აზრით საწევრო ფული გაისტუმრებს.

მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა: საზოგადოების საბჭოს წევრნი ერთის წლით აირჩიოს.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა იმის თაობაზე, რამდენი კაცი აერჩიათ საბჭოში. ბოლოს გამოირკვა ორი უმთავრესი აზრი. ერთნი ი. ქუთათელაძის მეთაურობით თხოულობდნენ 7 კაცისაგან შემდგარ საბჭოს, ხოლო მეორენი თავ. ს. რ. ვახვახიშვილის მეთაურობით—12 კაცისგან. კრებამ ხმის უმეტესობით უკანასკნელი წინადადება მიიღო იმ პირობით, რომ 12 კაცისგან შემდგარი საბჭო მხოლოდ ერთის წლით აირჩიოს, რომლის ხნის განმავლობაშიც გამოირკვევა, თუ შემდეგში, როგორ მოიქცეს.

დასასრულ, ბარათებით დასახელებულ იქმნენ კანდიდატები თანამდებობის პირებისა. დასახელებულ იქმნენ: საბჭოს თავმჯდომარედ: გ. ნ. ყაზბეგი, დ. ე. ჩოლაყაშვილი, კ. მ. ამირეჯიბი, ს. რ. ვახვახიშვილი, ვ. რცხილაძე და სხვანი.

თავმჯდომარის ამხანაგად: ს. რ. ვახვახიშვილი, ვ. რცხილაძე, დ. ე. ჩოლაყაშვილი, კ. მ. ამირეჯიბი, გ. ბ. გვაზავა, გ. ნ. დიასამიძე და სხვანი.

საბჭოს წევრებად: ბ-ნნი ხუნდაძე, ი. ქუთათელაძე, ყაზახაშვილი, ქურდიანი, დ. ჩოლოყაშვილი, ვ. რცხილაძე, ლორთქიფანიძე, დ. ვაჩნაძე, ე. იოსელიანი, ნახუცრიშვილი, ს. ჩოლაყაშვილი, კ. მ. ამირეჯიბი, კანდელაკი და სხვანი.

ამის შემდეგ კრება დაიხურა და არჩევნები მომავალ სამშაბათს, 22 მარტისთვის, გადაიდო.

## შენიშვნა ქართულ-რუსულ ლექსიკონის გამოცემის შესახებ

წ. კ. გ. ს-ს გამგეობას გადაუწყვეტია გამოსცეს პროფ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი. ამის გამო უკვე ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ მეც მინდა შორეულ ქვეყნიდან ჩემი მოსაზრება გავუზიარო მკითხველ საზოგადოებას.

ცხადია, რომ ყოველ კულტურულ ერს ყოველგვარი ლექსიკონი უნდა მოეპოვებოდეს, მაგრამ როცა საშუალება არ შეგწევთ, მაშინ ჯერ ის უნდა გააკეთოთ, რაც თქვენი არსებობისათვის და წინსვლისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ჯერ უსაჭიროესი და შემდეგ დანარჩენი. ქართული ლიტერატურის მდგომარეობა კარგად მოგეხსენებათ. მრავალ საუკუნის განმავლობაში ქართულ მწიგნობრობას არ დასდგომია ისეთი განსაცდელის დღე, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში. ის წარსდგა არსებობისთვის ბრძოლის საოცარ გამოცდის წინაშე. ერთი მხრით სდგას სახელმწიფო ძალა, დაყრდნობილი მრავალმილიონიან, მწერლობით მდიდარს, ხალხზე, თავისი დაწესებულებებით, თავისი სკოლით, მეორე მხრით ბრძოლაში დაფლეთილი, თანამედროვე პირობებთან ნაკლებ შეგუებული ერი. ასეთ პირობებში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრათ თქვენს ლიტერატურას, განსაკუთრებითი მზრუნველობით უნდა ცდილობდნენ, რომ ხალხმა შეისწავლოს ის და ამ შესწავლისათვის არაფერი არ დაზოგოთ. ამავე დროს ეს შესწავლა უნდა სწარმოებდეს სამშობლო ენისვე შემწეობითი. ვინც თავის ენას სხვისი ენის შემწეობით სწავლობს, იმის იმედი მაინც და მაინც ნურავის ექნება. ვისთვის ბეჭდავთ თქვენ ქართულ-რუსულ ლექსიკონს? რუსის საზოგადოებისათვის? აქ ხომ მხოლოდ ორიოდე კაცი ისარგებლებს ამ წიგნით, და ეს, სხვა რომ არ იყოს, ის იქნება, „ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო“. ქართველებისთვის? მაშინ ნება მიეცით ქართველს ქართული ენის შემწეობითვე ახსნას უცნობი სიტყვა. მიუხედავად აუტანელ დაბრკოლებისა ქართველი მწერლობა მაინც ვითარდება, ის თავის საუკეთესო წარმომადგენელთა შემწეობით მაინც თავისი კალაპოტით მიმდინარეობს და იზრდება. ამ ზრდაში ის უხვად სარგებლობს როგორც ძველ მწერლობის შემოქმედებით, ისე ადგილობრივ კილო-კავებს სიმდიდრით. ლიტერატურული ენა იზრდება და ვითარდება. მაგრამ საუბედუროდ ჩვენი ინტელიგენცია ამ ზრდას თან ვერ მისდევს, მისი ცოდნა სამშობლო ენისა უკეთეს შემთხვევაში განისაზღვრება უბრალო, საყოველ დღეო ქართულით: ამიტომაც ბევრი სიტყვა თვით აკაკის, ამ მომღერალ გენიოსის ნაწერებში არ ესმის, არ ესმის შექსპირის დრამების შესანიშნავი თარგმანი ი. მაჩაბლისა, რადგან ის არის ნამდვილი ქართულით დაწერილი და არა იმ არეულ-დარეულით, რომელსაც ის შეჩვევია. იმერეთში და ქართლშიაც ხშირად გამიგონია, რა მწერალია ვაჟა-ფშაველა, როცა მისი ნაწერი ნახევარი ვერ გაგვიგიაო. მართალიცაა თითქო, რადგან ვაჟა ბევრს ადგილობრივ სიტყვას ხმარობს. მაგრამ გარდა იმისა, რომ ის არის შეუდარებელი პანთეისტი-პოეტი, მდიდარი გრძნობით, ბუნების სულის ჩამდგმელი, ის არა ნაკლებ ძვირფასია სწორედ თავის თავისებურობით. მან ლიტერატურულ ენას დაუახლოვა ფშავ-ხევსურთა გამოთქმა, ამით თვით ფშავ-ხევსურთათვის უფრო საყვარელი გახადა საერთო, ეროვნული ენა და იმავე დროს საერთო ენას გადაუშალა დაუშრეტელი წყარო პოეტურ ხატებათა და შემეცნებათა, რომელნიც შეუმუშავებია ფშავ-ხევსურთა თავისებურ, ფრიად წარმტაც კულტურულ ცხოვრებას. აქ თქვენ შეხვდებით უთვალავ სახელს მთის მცენარისას, ადგილისას, ფსიხოლოგიურ ხატებათ. ამათ ყველაფერს შეთვისება უნდა, და აი სწორედ მაშინ, როცა ასეთი შეთვისება სწარმოებს, როცა ყოველი კუთხის კილოკავებს ნაკადი ერთვის—საერთო ლიტერატურულ ენას, მაშინ ის მდიდარია, მაშინ ის უფრო ცოცხალია და მისი ზრდა და განვითარება უზრუნველ-ყოფილია. უთვალავჯერ გამიგონია სიტყვა „სერობა“, მისი შინაარსი მესმოდა, მაგრამ თვითონ სიტყვა რას ნიშნავდა, არ ვიცოდი, სანამ პროფ. მარის წიგნიდან არ გავიგე, რომ სერობა ნაწარმოებია ჭანურ, გინდ მეგრულ სიტყვიდან „სერი“, რაც ნიშნავს ჭანურად საღამოს, ღამეს. აგრეთვე შეხვდებით ადგილობრივ გამოთქმას დ. კლდიაშვილის, ეგ. ნინოშვილის და სხვების ნაწერებში. ამავე დროს ბევრი ძველ ლიტერატურაში ხმარებული სიტყვა ამა თუ იმ კუთხეში დარჩენილია, ხოლო საერთო ენაში არ იხმარება, მაგ., ვერ იხმართ სიტყვას „ღლავი“, რადგან ქართლელი გეტყვით—ეს პროვინციალიზმიაო, მაშინ როდესაც „ღლავი“ ქართულია, ხოლო მისი თანაბარი სიტყვა „ლოკო“ სომხურია და ბაზრიდანა გადმოსული ლიტერატურაში. ვერ იხმართ სიტყვას „კაპარი“, რომელსაც ხმარობენ გურია-სამეგრელოში, თუმცა ამ სიტყვას შეხვდებით ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიაში“, ხოლო მისი თანაბარი „ჯონჯოლი“ ისევ ტფილისის მაზრის შვილი უნდა იყოს. ან და აიღეთ სიტყვა „შუკა“, კლასიკურ ლიტერატურაში ხმარებული და იმერეთ-გურიაში დღესაც ცოცხალი. რამდენი ქართველი იმტვრევს თავს „პერეულკი“ რომ სთარგმნოს. თვალავლებს, აღარ მახსოვს, რაღაც სასაცილო აკიბული სიტყვა გამოუგონიათ ამ მცნებისათვის, მაშინ როდესაც „შუკა“ ვიწრო ქუჩას ნიშნავს. მაგალითები მე მგონია მეტიცაა, ვისაც სამშობლო ენის სიყვარული აქვს და მისი განვითარებისთვის გული შესტკივა, ის ნათლად გრძნობს, თუ რაოდენ საჭიროა ქართული და მხოლოდ ქართული ლექსიკონი. დიდებულ მამულიშვილს, საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი შედგენილია მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს. განა შეიძლება ასეთი ნაშრომი დღეს გაკმაყოფილებდეთ! ამიტომაც თუ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა სიკეთეს იზამს და ასეთ დიდ საქმეს ითავებს, როგორც ლექსიკონის გამოცემაა, ყველაზე უწინარეს ის უნდა შეუდგეს ქართულ ლექსიკონის გამოცემას; მით უმეტეს, როცა განსაკუთრებული თანხა ამ საქმისთვის არ მოეპოვება და იძულებულია ჩვეულებრივ საშუალებას, ფონდების სესხს მიმართოს. **ნამ.**

## ტარას შევჩენკოს იუბილეი ქუთაისში

კვირას, 13 მარტს, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით, გაიმართა ქალაქის თეატრში გამოჩენილი უკრაინელ პოეტს ტარას შევჩენკოს საიუბილეო ლიტერატურული დღე, მუსიკალურ განყოფილებით. ბ-ნმა ა. გარსევანიშვილმა წაიკითხა ორი ლექცია: 1) ბიოგრაფია პოეტისა და 2) მისი პოეზიის მნიშვნელობა. პირველ ლექციაში ლექტორმა დაასურათა ის მდგომარეობა, რომელშიაც აღიზარდა და სცხოვრობდა ტარასი. დაგვიხატა მისი ტანჯვა-ვაებით სავსე ცხოვრება. ლექტორმა ტარას შევჩენკოს ცხოვრება სამ ხანად გაჰყო და თვითეული ხანა ცალკ-ცალკე დაახასიათა. მოიხსენია ის პირებიც, რომელნიც ხელს უწყობდენ ტარასს თავის მიზნების განხორციელებაში. მეორე ლექციაში ლექტორმა მოიხსენია ადგილი, სადაც არის დაკრძალული ტარასი და აღნიშნა ისიც თუ როგორ მოკრძალებით ეპყრობიან ამას არამც თუ რუსეთის მცხოვრებლები, საზღვარ-გარეთელნიც. მოკლედ აღწერა, თუ რა როლი ითამაშა ტარასის პოეზიამ გლეხთა განთავისუფლებაში და დაამთავრა იმით, რომ შევჩენკოს პოეზია ხალხური პოეზია არისო. ლექციის დაწყებიდან სცენას ამშვენებდა ყვავილებით მორთული ტარას შევჩენკოს სურათი. თეატრის დარბაზი მსმენელებით იყო გაჭედილი. ხალხმა პატივისცა ტარასის ხსოვნას ადგომით, რის შემდეგაც ილია ბახტაძემ წაიკითხა ბ-ნ სილოვანის ლექსი, რომელიც აქვე მოგვყავს.

გლეხს, კოხში შობილს, თან დაჰყვენ
ყმობისა ტანჯვა-გლოვანი,
მაგრამ გაბაპო, გაკვეთა
ტყე ბნელი, ნარეკლოვანი—
და შარავანდედ-მოსილი
შეიქნა სახელოვანი!..
ვერ დააკავებს წრფელ ნიჭსა
„გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“!

* * *

მან უკრაინა შეამკო,
თვისი სამშობლო ბედკრული:
მას უძღვნა გულის სიმები,
ხმები ღვთივ-ზეცით შემკული!
მოყვარეს სულში ჩაუძვრა—
და ისარი ჰკრა მტერს მტრული...
მით მოიხვეჭა სახელი
დაუვიწყარი, ზესრული!..

* * *

მან დაჰგმო ერის მჩაგრავი,
თავისუფლების მლახველი;
ტანჯულთ უმღერდა მარადის,
მათ ტრფობის გულში მმარხველი,
კეთილშობილი აზრების
წრფელ გრძნობათ მუდმივ მზრახველი...
იდიდოს მისი ხსენება, იდიდოს მისი სახელი!..

დასასრულ, ბ. კვაჭანტირაძის ლოტბარობით შესრულებული იქმნა რამდენიმე უკრაინული ლექსი სიმებიან ორკესტრზე იმღერა პატარა მოწაფეთა გუნდმაც ქართული სიმღერები. **ზაქრო.**

## სტოლიპინი და საზოგადოებრივი აზრი

**ბერლინი.** „კრეიცერ-ცეიტუნგი“ რუსეთში მომხდარ ამბებს ეხება და სხვათა შორის სწერს: „ის სიტყვები, ვითომც სტოლიპინს სახელმწიფოებრივი ცვლილება მოეხდინოს, მხოლოდ სააგიტაციო სიტყვებია. არავინ არ ამცირებს ხოლმე ისე ძლიერ კონსტიტუციას, როგორც ლიბერალები და დემოკრატები, როდესაც ძალა მათ ხელშია. დასამტკიცებელ მაგალითებს ინგლისი და პორტუგალია იძლევა. სტოლიპინი ისე მოიქცა, როგორც დიდი ბრიტანიის პრემიერი. ლორდთა პალატის შესახებ განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ასეთი საქციელი ინგ-

---

მულეების უღელქვეშ იმყოფებოდა და გამოსყიდულ მიწების რაოდენობა შეადგენდა 80%. 55 ათას დესეტინა მიწიდან მე 90 წ.წ. მხოლოდ მეხუთედი, ე. ი. 10,5 ათასი მიწა გამოუსყიდია გლეხ-კაცობას.

ამ გვარად, მე 90 წ.წ. დროებით ვალდებული გლეხების მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, სამაგიეროდ, ამ ხანებში თვით გლეხობის დიფერენციაციის საქმეში საგულისხმიერო მოვლენები განვითარდა, რასაც მოკლედ ქვემოდ განვიხილავთ.

როგორც ვსთქვით, დროებით ვალდებულ გლეხებს კომლზე ბატონ-ყმობამდე მოსდიოდა სახნავ-სათესი მიწა 5,45 დეს. [1]) აქედან სარწყავ, პირველ ხარისხის მიწის რაოდენობა უდრიდა—2,45 დეს, ურწყავის კი—3,0 დეს. ბატონ-ყმობის მოსპობით გლეხთა მდგომარეობა გაუარესდა, სახნავ-სათეს მიწის რაოდენობა შემცირდა და ტფილისის გუბერნიის გლეხებს 5,45 დესეტინის ნაცვლად შერჩა მხოლოდ 3,41 დეს., რომლიდანაც სარწყავ მიწის რაოდენობა უდრიდა 1,64 დეს. ხოლო ურწყავის—1,77 დეს. სარწყავი მიწის რაოდენობა ბატონ-ყმობის მოსპობით შემცირდა 0,81 დეს., რაიცა შეადგენს პირვანდელ მიწის 33,06%. ხოლო ურწყავი მიწა შემცირდა 1,23 დეს. — შეადგენს 40,66%. საერთოდ, სახნავ-სათეს მიწის რაოდენობა შემცირდა 2,04 დეს., რაიც წინანდელ მიწის სარგებლობის 37,62% შეადგენს.

წინა წერილებში ვთქვი და ეხლაც ვიმეორებ, რომ როდესაც მკვლევარნი გლეხ-კაცობის ეკონომიურს მდგომარეობას ეხებიან, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმ ფრიად საგულისხმიერო გარემოებას, რომ გლეხკაცობა ერთ მთლიან მასსას აღარ წარმოადგენს. გლეხ-კაცობა თანამედროვე ცხოვრებაში აღარ იმყოფება იმ იდილიურ ხანაში, რომელსაც ხოტბას ასხამდა მე-XIX საუკუნის პირველ ათეულ წლების შესანიშნავი ეკონომისტ-რომანტიკი სისმონდი, არამედ გლეხ-კაცობაც კლასობრივად არის დანაწილებული. ჩვენ დავინახეთ, რა რიგადაცაა დანაწილებული მიწათმფლობელობის ნიადაგზე გლეხ-კაცობა (სახ. გლ.) საქართველოში[3]). ამნაირადვე დანაწილებული დროებით ვალდებული გლეხ-კაცობაც.

მთელ ტფილისის გუბერნიაში (იხ. „სტატისტიკურ ცნობათა კრებული“-ს... „Приложеніе“ II) დიდს სასოფლო საზოგადოებების რაოდენობა შეადგენდა 225-ს, ამ საზოგადოებებში ითვლება 59,903 დროებით ვალდებული გლეხი. ამათ შორის ბატონ-ყმობის პირველ ხანებში მიწა-ადგილი მეტის-მეტად უსწორმასწოროდ იყო დანაწილებული, რის გამო მათ შორის ძალიან გამოსჭვივის კლასობრივი დისჰარმონია. გლეხ-კაცობა (დრ.-ვალ.) შეიძლება გაიყოს სამს ნაწილად. პირველ ნაწილის რიცხვი შეადგენს ერთ უმრავლეს ნაწილს დროებით ვალდებულებისას—34,864; მეორე—საშუალო შეძლების—13,014 და მესამე უფრო ღონიერი—11,925.

რომ კიდევ უფრო დაგვენაწილებინა დროებით ვალდებულების მასსა, ჩვენ კიდევ მეტ სიღარიბისა და სიდუხჭირის სურათი გადაგვეშლებოდა თვალ წინ, რადგან დროებით ვალდებულ გლეხებს შორის ბატონ-ყმობის მოსპობის პირველ ხანებშიაც მრავალი იყვნენ სრულიად უმიწა-წყლო გლეხები. 4048 სული მამობრივ სქესისა მეტის მეტად მცირე მიწის პატრონი იყო, როგორც, მაგ., 0—0,07 დეს., მაგრამ, ვიშურებთ რა გაზეთის სვეტებს, ჩვენ ვეცდებით სინამდვილის ციფრები იმდენად მაინც ავალაპარაკოთ, რომ არსებული სიდუხჭირე ნათელი გახდეს. ამნაირად, დროებით ვალდებულ გლეხების ხელში საშუალოდ მოქცეულია:

| მწარმოებელი ხელი | დესეტინა |
|---|---|
| 34,864 | 0,25 |
| 12,014 | 0,75 |
| 11,925 | +1,00 |

ზემო ნათქვამიდან ვიცით, რომ გლეხის მიწის საერთო მფლობელობა-სარგებლობაში სარწყავ მიწის რაოდენობა უდრიდა 1,64 დეს., ე. ი. 48,09%, ხოლო ურწყავი მიწის—1,77 დეს., რაიც შეადგენს 51,9%. გამოვიანგარიშოთ, თუ რამდენი მოდის მწ. ხელზე სარწყავი და ურწყავი მიწები. გლეხების სამ კატეგორიის სახნავ მიწების სურათი პირველად ამნაირად გამოიხატება:

| მწარმოებელი ხელი | საშუალოდ | დესეტ. |
|---|---|---|
| 34,864 | „ | (0,25)=100% |
| 13,014 | „ | (0,75)=100% |
| 11,925 | „ | +(1,00)=100% |

რამდენი მოუწევს აქედან თითო კატეგორიის გლეხებს? გამოანგარიშება გვანახვებს, რომ მწარმოებელ გლეხების ხელში ყოფილა:

| მწარმ. ხელი. | საშუალოდ. | სარწყავი მიწა. | ურწყავი მიწა. |
|---|---|---|---|
| 34,864 | „ | 0,12 დეს. | 0,13 დ. |
| 13,014 | „ | 0,36 „ | 0,39 „ |
| 11,925 | „ | +0,48 „ | +0,52 „ |

ვგონებ ყველასათვის აშკარა უნდა იყოს დროებით ვალდებულ გლეხების მეტის-მეტად სივიწროვე მთელ ტფილისის გუბერნიაში; როგორც ვთქვით, ხშირად სოფლები ერთიანად ლატაკებისაგან შესდგებიან, რომელნიც პირდაპირ იძულებულნი არიან სხვა შემოსავლის წყაროს მიმართონ. მაგალითად, თიანეთის მაზრაში მიწადმფლობელობა დრ. ვალდებულ გლეხებისა იმდენად არ არის დაქსაქსულ-დანაწილებული, როგორც, მაგ., სიღნაღის ან გორის მაზრაში. თიანეთის მაზრაში გასულ საუკუნის უკანასკნელ ათ წლებში ოფიციალური სტატისტიკა სთვლიდა მხოლოდ 4 მწარმოებელ გლეხს, რომელსაც ჰქონდა 0—0,07 დეს. მიწა, რაღაც 15-დეს—0,07—0,12 დესეტინამდე. სამაგიეროდ სიღნაღის მაზრაში 684 გლეხია ისეთი, რომელთაც ან სრულებით არა აქვთ მიწა-წყალი, ან თუ აქვთ მხოლოდ —0,07 დესეტინამდე. მიწის სივიწროვე განსაკუთრებით მაგრძნობელია სიღნაღის მაზრის ბაკურციხის საპოლიციო უბანში, შემდეგ კოდალის უბანში და სხ. მაგრამ, მიწების სივიწროვე განსაკუთრებით ამჩნევა გორის მაზრაში, სადაც მთელ 1937 მწარმ. გლეხი ირიცხებოდა, რომელსაც სრულებით არაფერი გააჩნდა და, თუ რაიმე ჰქონდა, ისიც რაღაც 0,07 დეს.; 1505 გლეხი იყო, რომელსაც 0,07—0,12 დეს. მოსდიოდა და 3118 გლ., რომელსაც 0,12—0,25 დეს. მოსდიოდა. რა თქმა უნდა, ეს ნოლებიც ძალზე შემცირდება, რომ აქედან კიდევ სახნავ-სათესი მიწები გამოვაკლოთ. განსაკუთრებულ მიწების სივიწროვე გორის მაზრის ცხინვალის საპოლიციო უბანშია, სადაც ნოლებიან საკუთრების ხალხი 6552 ირიცხებოდა, შემდეგ უნდა აღინიშნოს მეჯვრისხევის უბანი... არც დუშეთის მაზრაა ჩვენ მხედველობიდან გამოტოვების ღირსი. მთელ დუშეთის მაზრაში ნოლებიანი გლეხები, 0-დან დაწყებული ვიდრე 0,75 დესეტ.-მდე, ირიცხებოდნენ 12,797. თვალსაჩინო ალაგი უკავია მიწის სივიწროვის მხრივ დუშ. მაზრის ქსანის ნაწილს, სადაც 0—0,75 დესეტინიან გლეხ-მწარმოებელთა რაოდენობა უდრის 9,899-ს. მცხეთისა და ბაზალეთის უბნები ამ მხრივ შედარებით სანუგეშო სურათს იძლევიან.

ტფილისისა და ბორჩალოს მაზრებში დროებით ვალდებული გლეხები რაოდენობით ნაკლებია. ხოლო, მიწის სივიწროვეს აქ უფრო ერთგვარი სახე აქვს, რადგან—ბორჩალოს მაზრაში, მაგ., მთელი მიწა-წყლის უდიდესი ნაწილი მსხვილ მესაკუთრეების ხელშია, და წვრილ მეურნეობის განვითარება და ისიც სრულიად მოუწყობელ და განუვითარებელ გლეხ-კაცისაგან პირდაპირ შეუძლებელია... **თევდ. ღლონტი.**

[1]) ჩვენ სახნავ მიწას ვაქცევთ აქ განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგანაც ბაღის, ბაღჩების და სხ. ნაკლები მნიშვნელობა აქვს გლეხის ეკონომიურ ცხოვრებაში. ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, მაგ. ბაღჩებს ალაგს, როცა მისი რაოდენობა უდრის საშუალოდ კომლზე —0,15 დეს. ან ბაღს, რომლის რაოდენობაც აგრეთვე კომლზე უდრის 0,002 დეს. ვენახიანი ადგილები კი, დროებ. ვალ. გლეხებში მეტის მეტად მცირეა და კომლზე რაღაც 0,33 დეს. უდრის.

[3]) იხ. ჩემი წერილი, „სახალხო გაზეთი“ №№ 233.

ლისში ძნელია და საქმის გართულებას იწვევს. ეს კი ხალხისთვის მავნებელია. იმპერატორმა რომ თავის პრემიერს მხარი დაუჭირა, მხოლოდ იმპერატორისადმი სიმპატიას აძლიერებს. ეს სიმპატია მისმა უდიდებულესობამ თავისი მეფური ხასიათით ყველგან მოიპოვა".

სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ შეკითხვებში ერთხმად აღნიშნულია: საჭიროება არ მოითხოვდა კანონ-პროექტის 87 მუხლის ძალით დამტკიცებას. ამ ზომას გასამართლებელი საბუთები არ მოეძებნებათ. სოციალ-დემოკრატები და შრომის ჯგუფი, როგორც „კასპი" გადმოგვცემს, ძირითად კანონების დამრღვეველთა პასუხისგებას თხოულობენ. მაჰმადიანთა ჯგუფი ადეტების შეკითხვას მიემხრო.

**ლონდონი.** „ტაიმსი" მეთაურ წერილში რუსეთის სამინისტროს კრიზისზე ლაპარაკობს და ამბობს, სტოლიპინი სწორედ იმნაირი კაცია, რომელსაც შეუძლიან რუსეთი კონსტიტუციონურ გზაზე დააყენოს.

ოფიციოზი „როსსია" აღნიშნავს: ის საფრხე, რომელიც კანონ-პროექტს მოელოდა სახელმწიფო საბჭოში, განსაკუთრებულ, არა ჩვეულებრივ პირობად უნდა ჩაითვალოს. ამით შეიძლება გამართლდეს მთავრობის ზომაო.

როგორც ხმა დადის, სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენე ფრაქციას აზრადა აქვს შეკითხვა შეიტანოს კანონ-პროექტის 87 მუხლის ძალით დამტკიცების შესახებ. სახელმწიფო საბჭოს ზოგიერთი წევრები, როგორც „კასპი" გადმოგვცემს, დემონსტრატიულად დროებით სამსახურიდან განთავისუფლებას თხოულობენ.

ზოგიერთს ოქტოებრისტებისთვის უთქვამს სტოლიპინს: თუ სათათბირომ, ნიშნად პროტესტისა, კანონ-პროექტი უარჰყო, სამსახურს თავს დავანებებო. როდზიანკოს ურჩევია, ამ შემთხვევაში სჯობიან სახელმწიფო სათათბირო დაითხოვონო.

„ზემშჩინა" იმ აზრისაა, რომ თუ სათათბირომ კანონ-პროექტი უარჰყო, იგი უნდა დაითხოვონ. „რუსკოე ზნამია" ოქტომბრისტებს მოღალატეებს ეძახის.

# მოწერილი ამბები

**ახალციხე.** 7 მარტს, ადგ. ვაჟთა პროგიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ განიხილა ქალაქის თვითმართველობის ოქმები იმის თაობაზე, რომ მომავალ სექტემბრიდან ვაჟების ადგილობრივი პროგიმნაზია გადაკეთდეს ორთავე სქესთა ყმაწვილთათვის; ქ.-ის საბჭო სთხოვდა პროგიმნაზიის ინსპექტორს ბ. ვერესოვს თანხმობას და მასთანვე კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე შუამდგომლობას ამისათვის ნებართვის გამოთხოვისათვის; ბ—რე შეეხო პროგიმნაზიის ახლანდელი ბინიდგან სხვა ახალბინაზე სასწავლებელის გადატანას, რადგან ახლანდელი ბინა, როგორც ძველი შენობა, უვარგისი აღმოჩნდა სასწავლებლისთვის. ახალ ბინად ქ-ის საბჭო უჩვენებდა ფოტოგრაფ ავეტისოვის შენობაზე, რომელიც 1,500 მან. უთმობს თურმე პატრონი პროგიმნაზიას. ახლანდელი ბინა კი 2,700 მან. აქვსთ დაქირავებული.

პედაგოგიურმა საბჭომ შეიწყნარა პირველი საკითხიდა კიდევაც დაადგინა იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რომ მომავალ სექტემბრიდან ვაჟებთან ერთად ქალიშვილებსაც შეეძლოთ სწავლის მიღება ამ პროგიმნაზიაში ოთხ კლასამდე. მოსწავლე ქალთა წლოვანება 15 წლით განსაზღვრეს. ხოლო მეორე საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა, რადგანაც პედაგოგიურ საბჭოს ნახული არა ჰქონდა ავეტისოვის შენობა, თუ რაოდენად გამოსადეგი აღმოჩნდებოდა იგი პროგიმნაზიისათვის.

მეხხი კ. გვარამაძე.

**ს. კულაში** (ქუთაისის მაზრა). კულაში 1911 წლამდე შეადგენდა ერთს გაერთეულ საზოგადოებას, სადაც უკანასკნელ აღწერით ირიცხებოდა 1668 კომლი, განურჩევლად წოდებისა, ანუ 11328-დე სული ორივე სქესისა.

კულაშის საზოგადოებაში ბევრი დაწესებულება არსებობს. აქ არის სამოქალაქო ოთხ კლასიანი სკოლა, ორი ორ კლასიანი ნორმალური სასწავლებელი, საზოგადო ორ კლასიანი სასწავლებელი, ორი საქალებო ორ კლასიანი სასწავლებელი პროფესიონალური განყოფილებით, და თვით საზოგადოების სკოლა. ცნობილი სადღური სამტრედია კულაშის საზოგადოებაშია. ყოველ ბაზრობით სამტრედიაში იმართებოდა ბაზრობა.

შარშან კულაშის საზოგადოებას გამოეყო 770 კომლი ებრაელები და დაარსა ახალი საზოგადოება „სამტრედია" იმდენად დარჩენილმა კულაშმა მოითხოვა თავისი ბაზრობა (ბარასკეობა) კულაშში. სათანადო მთავრობამ შეიწყნარა კულაშელების თხოვნა და დააკმაყოფილა. 11 მარტს, ებრაელების ბაზრის მახლობლად გაიხსნა პირველი ბაზრობა. საბაზრო მოედანს ოთხი ქუჩა აღგილი უჭირავს; დაქირავებულია ებრაელების სამიკიდ ახამადე ახლად დადგმული კარავი. სოფლებიდან უკვე მიაქვთ სხვა და სხვა სანოვაგე და საგაჭრო. **ლ. ჩ.**

**ერწო** (თიანეთის მაზრა). ერწოს და მის გარშემო სოფლებში საბედნიეროდ თან და თან ეღვიძებათ სწავლის სიყვარული, წარსულ ენკენისთვეში დაბოლოს თებერვალში გაიხსნა ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლები ნაქალაქარსა და ბაჯიორმაში. სკოლა სოფლებიდან ცოტა დაშორებულია, მაგრამ ბავშვები მაინც დიდი სიამოვნებით დადიან. ამ ახლო მომავალში სოფ. საყარაულოს საზოგადოებაში აპირებენ სკოლის გახსნას.

წლევანდელი ზამთარი აქაც სასტიკი იყო. თოვლი თუმცა ისე დიდი არ მოსულა, მაგრამ სამინელმა ყინვებმა მდინარეები დაამრო. საქონელი თითო კვირაობით უწყლოთა ჰყავდათ. უწყალობამ ხომ ძალიან შეაწუხა მცხოვრებლები. მომეტებულ ადგილას დახადლს ან მოხარშულს სჭამდნენ. ამ სასტიკმა პირობებმა ბევრგან ავადმყოფობა გააჩინა. გაზაფხულის პირსაც ისეთი ამინდი დადგა რომ მინდორში გუთნების გატანა შეუძლებელი გახდება.

შირაქიდან ჩამოსულებმა ფშაველებს ამბავი ჩამოუტანეს, ცხვარს ფეხები და დურაბი გამოახრჩვაო. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ქარმა და ყინვებმა სიძვე ბალახი სულ მთლად გადახმო.

ქართველი თხებში ნამყოფი.

**დ. სურამი.** 12 მარტს, სადამოთი, სურამის საზოგადოების დარბაზში მოიყარა თავი, ასამდე ქალმა და კაცმა, განურჩევლად ეროვნებისა და მიმართულებისა, გასაცილებლად დაბარ ექიმ გაბო გვერწითელისა, რომელმაც თავისი 9 წლის უანგარო და გულ-წრფელ მოღვაწეობით დაიმსახურა უდრესი სიყვარული, როგორც სურამისა და ხაშურის საზოგადოების, ისე ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებისაც.

გახსმის დასაწყისში რამდენიმე პირმა, სხვა და სხვა სოფლებიდან მოსულმა, დაახასიათეს მისი გულ-წრფელი და მეგობრული განწყობილება ხალხისადმი, აღნიშნეს ისიც, რომ ის, როგორც ადგილობრივი მცხოვრები, ერთგულად ემსახურებოდა საზოგადოებას ყოველივე საქმეში, მეუფეებულად სურამის კერძო პროგიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარედ და გულ-მოდგინედაც შრომობდა. გ. თოსელიანის წინადადებით გახსმაზე მოგროვდა 43 მან., რომლითაც განთ ვიგუფლებულ იქმნებიან ორი ღარიბესი მოწაფე პროგიმნაზიის ნიშნად გაბოს პატივისცემისა.

დასასრულ, საზოგადოებამ მიმართა თხოვნით ბ. გვერწითელს, რომ იგი ისევ უკან დაუბრუნდეს სურამს ქ. გორიდან, სადაც ის გადაიყვანეს ექიმად. **დ. მ.**

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მარტი.

## საზღვარ-გარეთ.

**პარიზი** 12 კაცს, რომელთაც დიურა-დაიურას საქმის გარჩევის დროს უწესოება მოახდინეს, 1 თვიდან 15 თვემდის საპყრობილე მიუსაჯეს. დიურას საქმის გარჩევას ხვალ განაგრძობენ.

**ტოკიო.** დაარსდა წუნარი ოკუმანის შემწეველი საზოგადოება. საზოგადოებას აზრადა აქვს დიდი ოკეანე პოლიტიკურისა და ეკონომიური მხრით შეისწავლოს. საზოგადოების დამმარსებელთ: ექიმმა ტომიძუმ, ხასეგავამ და ტეგეგოსიმ განაცხადეს, რომ ამერიკასა და იაპონიის შუა დადებულ ხელ-შეკრულებათა წინააღმდეგნი არიან.

**ბუქარესტი.** მინისტრ-პრეზიდენტმა პარლამენტში ახალი კანონ-პროექტი შეიტანა. კანონ-პროექტი სადამოჟნო ტარიფსა სცვლის და პირველ საჭიროებათა საგნებზე ბაჟს ამცირებს.

**ბარ-სიურ ობი.** მედვინეებმა დემონსტრაცია კამართეს. ბოლიციის შენობაში ფანჯრები ჩაამტვრიეს, სამფეროვანი დროშა მოჰგლიჯეს და წითელი გამოჰკიდეს. პრეფექტმა ბრბოს სიტყვით მიჰმართა და დაჰპირდა, თუ დაიშლებით, ჯარებს მოვაშორებთო. ამის შემდეგ პრეფექტი და მისი თანაშემწე ბრბოს წინ გაუძღვა, ბაზარზე გავიდა, სადაც ჯარი იდგა, და ჯარს წასვლა უბრძანა. მანიფესტანტებმა კმაყოფილება განაცხადეს. მშვიდობიანობა ჩამოვარდა.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო იტყობინება: ამას წინედ ინგლისის პარლამენტში ითქვა, რომ ჩრდილოეთ სპარსეთში რკინის გზის კონცესია რუსებსა აქვთო. ამის თაობაზე სპარსეთის მთავრობა, გაიცხებული აცხადებს: სპარსეთს რუსეთთან ძველი პირობა ჰქონდა დადებული, რომლის ძალითაც სპარსეთს 10 წლის განმავლობაში სარკინიგზო კონცესია არავისთვის არ უნდა მიეცა. ამ პირობის ვადა ამ რამდენიმე თვის წინედ გავიდა. ეხლა სპარსეთის მთავრობას რკინის გზების საჭიროება კარგად ესმის და ცდილობს გამოიძიოს, რა წამს შეეძლება ნებას მისცემს, თითონ გაიყვანოს რკინის-გზები და ამის უფლება არც ერთ სახელმწიფოს არ მისცეს.

**სტამბოლი.** სულთანმა გერმანიის იმპერატორს გიდქვლმს გერმანელ ინსპექტორს ფლიტინგის მოკვლის თაობაზე დეპეშით სინანული გამოუცხადა.

სულთანმ ირადე გამოსცა; ირადეს ძალით ანატოლიაში რიგიდან ორი დივიზიის მობილიზაცია უნდა მოხდეს. ჯარებს ალბანელების წინააღმდეგ აგროვებენ. ალბანელთა მოძრაობა, ჯერჯერობით, სკუტარის ვილაიეთის ჩრდილოეთის ერთ ნაწილს მოედო. ხმები დადის, ვითომც მოძრაობას ცნობილი მეთაური ისსა-ბოლეტინატი ხელმძღვანელობსო. ჩერნოგორელების რწმუნებულის აზრით მოძრაობას ჯერჯერობით მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი აქვს და მისი შეყენება ადვილია.

**სარაგოსსა.** გაფიცულთ და ქვის მთელ მუშათა შეტაკებაში პოლიციას ჩარევა მოუხდა. მთავრობის. შენობასთან რამდენჯერმე ესროლეს. სამპოლიციელი დაიჭრა.

**ბუქარესტი.** რუმინიის ხარჯთ-აღრიცხვის საერთო ჯამი 477, 745, 230 ფრანკს უდრის, აქედან 69 278 668 ფრანკი სამხედრო სამინისტროს მოეჰხმარდება.

**კორფუ.** გერმანიის იმპერატორი მოვიდა.

**ბუქარესტი.** პოლიტიკურ წრეებში ამბობენ: გენიზელოსი, მას შემდეგ, რაცა საბერძნეთ რუმინიის შორის დიპლომატიური დამოკიდებულება განახლდება, რუმინიის, ბოლგარეთის და სერბიის დედა-ქალაქებს დაივლის. ამას ის მიზანი აქვს, რომ ბალკანეთის პოლიტიკა შეცვალოს და ხსენებული ერები დაამეგობროს.

**რომი.** მეფემ სამინისტროს გადადგომა მიიღო და ახალ კაბინეთის შედგენა ჯოლიტტის დაავალა.

**ალბანი** (ნიუ-იორკის შტატი). დიდით კაპიტოლიაში ცეცხლი გაჩნდა. შენობის დასავლეთის მხარე მთლად დაიწვა. დიდი დარბაზები ძალიან დაზიანდა. შტატის ძვირფასი ბიბლიოთეკა, ხელთნაწერები და დოკუმენტები დაიწვა. ზარალი 10 მილიონ დოლარამდისაა (25 მილიონი მანეთი). რამდენიმე ცეცხლის-მქრობელი დაიხარჩა.

**პალერმო.** წარსულ ღამეს ქარიშხალი იყო. ჩირნახული გაიფუჭა. ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები დაწყვეტა.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** გენერალ-ადიუტანტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, მიშოვი გარდაიცვალა.

**ცარიცინი.** თავის ნებით მოსულმა ილიოდორმა, რომელიც მონასტერში შეიპარა, შეკრებილ ხალხს განუცხადა: დღეის შემდეგ მთავრობას დამძღვას დავუწყებო; ხარისხის დაკარგვა არ მაშინებსო, განაცხადა მან. მან მომხრეებს შესჩივლა. მომხრეებმა ფიცი მიიღეს, არ გაგცემთო. ბრბო აღელვებულ გუნებაზეა. უჩნი ბრბოს დასამშვიდებლად ეპისკოპოსი გერმოგენი მოვიდა.

**ხარბინი.** აღმოსავლეთ-ჩინეთის გზების გამგემ ფინანსთა მინისტრისაგან ცნობა მიიღო: რუსეთ-ჩინეთის უთანხმოება გათავდა. რკინის-გზათა გამგემ მცხოვრებთ გამოუცხადა, საშიში აღარაფერიაო.

**კიევი.** მემამულე ტერეშჩენკომ საქველ მოქმედო საქმეებს 100.000 მან. შესწირა.

უნივერსიტეტში, კომერციულ და ქალთა ინსტიტუტში და ქალთა უმაღლეს კურსებზე სწავლა წესიერად სწარმოებს.

პოლიტეხნიკუმში ლექციებს ცოტა მსმენელი ესწრება. ბიდუთების კანტროლია დანიშნული. დირექტორმა განცხადება გამოაკრა: ვინც არ სწავლობს, სტიპენდიებს მოგუსპობთ და არც სწავლის ფულს გაპატიებთო.

**იალტა.** ღამე, იალტის ახლოს, გემი „გურზუფი" ჩაიძირა.

**პეტერბურგი.** სენატორ ნეიდგარდის განკარგულებით პეტერბურგის ქალაქის საბჭოს მოხელე ნეიბურგი სამართალში მისცეს.

## ფ რ ე ნ ა.

**პარიზი.** ავიატორი გე ჩვერში ფრენის დროს ასი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა და მოკვდა.

**ბერლინი.** ორი სამხედრო ავიატორი ბერლინიდან ჰამბურგს გაფრინდა. ფრენამ 3½ საათს გასტანა.

## შავი ჭირი.

**ხარბინი.** 15 მარტს არავინ მომკვდარა; არც ავად გამხდარა. შაბათს ჭირთან მებრძოლ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად მუკდენში შეიდან ზაბოლოტნი, ბოგუცკი და ხავკინი. ესენი ქალაქისა და გზის წარმომადგენელნი არიან. 20 მარტს ხარბინს აღეას ახსნიან.

**გირინი.** ამ უკანასკნელ 10 დღეში ჩინელთა შორის ორთა შუა რიცხვით დღე და ღამეში 2 ჩინელი კვდება.

**კაირო.** ზემო-ეგვიპტეში შავი ჭირით ყოველ დღე შვიდამდის კაცი ხდება ავად. ჭირის ბუდედ კომოსსაბოაა ცნობილი. აქ სასტიკი იზოლაციაა მოწყობილი.


# განცხადებანი

**გრაფოლოგი-ხიროსოფი**
გამოიცნობს აწმყოს, წარსულსა და მომავალს. ყოველ ხულიერ განცდასა და ჩვეულებას. ყველა კითხვაზე პასუხს იძლევა. პირისპირ ნახვითა და მეთვლით. მიხეილის პრ. N 97, სახლი 8 იღებს დილის 9 ს. საღამოს 8 საათამდე.
(10—1036—10)

**დოქტ. ნავასარდიანისა**
უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
**დ ი ლ ი თ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ტვეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.
**ბ. გ. აგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი და ბავშვთა ავად.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ქალ. ექ. პ. ხ. ზილბერშპაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. მ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**11—12 სათ. 606 წამლობა**
**კონსულტატიურად**
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**საბურთალოზე**
ვისაც ჰსურს გაჰყიდოს, ან შეიძინოს სამოსახლო ადგილი, ვთხოვ შემოიაროს ჩემთან, ჩემს სახლში (საბურთალოზე) ნაშუადღევის 3—5 საათამდე.
ხევსტი მ გაჩეჩილაძე.
(5—513—2)

◀ **მშობიარეთათვის** ▶
**თავშესაფარი**
**ბებია-ქალის**
**თუხარელისა.**
ოლგას ქ., ბაბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—72)

**ვ. უოფიანის დრამა**
**სამეგრელოს მთავარი**
**ლევან**
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.
**ფასი ორი აბაზი**
იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**„სამპსონინი"**
**თმებისათვის**
**საპონი ექ. დიდიძისა**
იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე).
(წლ.—1152—1)

● **მაქვს პატივი განცხადოთ,** ●
ქალაქ ტფილისში, კიროჩნი ქუჩა, N 21, ტელეფონი N 925.
**მაქვს ავეჯით მოწყობილი ნომრები,**
**ოტელ-იმპერიალი**
**ნომრები არის ახალი ავეჯით მოწყობილი და ელექტრონით განათებული,**
და საგრძნობელი სისუფთავით შენახული. მოსამსახურენი ზრდილობიანნი. ახლო აქვს სასტუმროს ტრამვაის სადგომი, საავადმყოფო, აფთიაქი, ფოსტა და ყოველივე სავაჭრო დაწესებულება.
**ნომრები: 1 მანეთიდან 3 მ 50 კაპეიკამდის**
მობრძანდებით და პირადად მოგველაპარაკებით, დაგვეთმობათ დიდის შეღავათით.
(10—1113—8)

◀● **„სორაპნის" ამხანაგობის გამოცემა** ●▶
**ქართველი და უცხოელი მწერლები**
**წიგნი მეექვსე**
**მიიღება ხელის მოწერა მეექვსე წიგნზე.**
**დრამები და კომედიები**
**წიგნი დაიბეჭდება ვასო აბაშიძის რედაქციით**
ამ წიგნში მოთავსებული იქნება, როგორც **ქართველ** აგრეთვე **უცხოელთა დრამატურგების** ნაწარმოები. წიგნი გამოვა დიდი ზომისა, სამჯერ მეტი ვიდრე ჩვენი ჩვეულებრივი გამოცემებია,—იქნება დასურათებული,—მოთავსებული იქნება სასიმღერო კუპლეტებისათვის ნოტები. უმთავრესი ყურადღება იქნება მიქცეული იმაზედ, რომ წიგნში მოთავსდეს ისეთი დრამები და კომედიები, რომლის დადგმა შეიძლებოდეს პროვინციაში.
**არც ერთი პიესა არ დაიბეჭდება წიგნში ისეთი, რომელიც დაბეჭდილა არის.**
**წიგნი ეღირება ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.**
ხელის მოწერა დაიწყო 10 თებერვალს და გათავდება 1 აპრილს. დაბეჭდილი წიგნი აუცილებლად დაურიგდებათ ხელის მომწერლებს—1 ივნისს.
**წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა**
ვისაც ესურვება ამ წიგნის გამოწერა ფოსტით, მან უნდა გამოგზავნოს გასაგზავნიანად 1 მ. 50 კაპ.
ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: **Тифлисъ типографія „Сорапань".**
ტფილისში ხელის მოწერა შეიძლება 1) ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, 2) „ნოვაია რეჩის" მაღაზიაში. კიკნაძესთან, 3) „ალიონის" მაღაზიაში, კიროჩნი ქუჩაზე და 4) სოსიკო მერკვილაძის მაღაზიაში.—პროვინციაში ყველა აგენტებთან.
(15—1100—10)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა
**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**
**ძმ. ძეგველოვების**
● **მ ა ღ ა ზ ი ა ს** ●
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
**ახალ-ახალი**
**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).
**ხიზილალა**
ახალი (**Зернистая**).
პარკისა და კოლოფებით
**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**
**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)
მიიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა
გირვანქა 2 მან.—2 მან. 40 კ.
**წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.**
და ბელა-რებგა 50 კ.
**მიიღეთ ახალი ნავაგა**
აგრე იყიდეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—128)
საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა